

# ადგილობრივი გარემოსდაცვითი

## სამოქმედო გეგმა –

### გადაწყვეტილებების მიღებაში

### მონაწილეობის ქვედითი მექანიზმი

ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის (აგსგ) შემუშავება წარმოადგენს პროცესს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, მასში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს.

აგსგ შემუშავების მთავარი შედეგებია:

- მოქალაქეთა პირადი და საზოგადოებრივი ინიციატივების გააქტიურება;
- გარემოსდაცვით გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის იდეის პოპულარიზაცია;
- არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა;
- სამოქმედო გეგმის შემუშავება დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით.

აგსგ-ს შემუშავებაში ჩართულობით მოქალაქეები იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას, თუ როგორ შეიტანონ საკუთარი წვლილი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დაიცვან საკუთარი უფლებები.



USAID | GEORGIA

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საქართველოს პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

ბუკლეთი მომზადებულია იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრის“ მიერ პროექტის „მოქალაქეთა გარემოსდაცვითი ინტერესების მხარდაჭერა სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის R-CSN მიერ“ ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMII) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში.



პროექტი მხარდაჭერილია "სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის" (R-CSN) მიერ, რომლის ფასილიტაციასაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია "სიდა" აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის G-PAC პროგრამის მხარდაჭერითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

პუბლიკაცია არ გამოხატავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“.  
ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ. N 9



ქვემო ქართლის საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრი,  
ბოლნისი, სულხან-საბას ქ. № 101



ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი,  
ტყიბული, გელათის ქუჩა № 20



# ვისოდეთ ჩვენი გარემოსდაცვითი უფლებები

მიიღეთ მონაწილეობა გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმების შემუშავებაში და იცხოვრეთ სუფთა გარემოში!



ორჭუსის კონვენცია წარმოადგენს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ დოკუმენტს, რომელიც მიღებული იქნა ქ.ორჭუსში (დანია) 1998 წ.

საქართველო ორჭუსის კონვენციის მონაწილე მხარეა 2000 წლიდან.

ორჭუსის კონვენციის თანახმად გარემოსდაცვითი ინფორმაცია მოიცავს:

- ინფორმაციას გარემოს კომპონენტების (წყალი, ჰაერი, ნიადაგი) მდგომარეობის შესახებ;
- ინფორმაციას იმ ფაქტორებსა და ღონისძიებებზე, რომლებიც მოქმედებენ ან შესაძლოა იმოქმედონ გარემოზე;
- ინფორმაციას გარემოს ზემოქმედების შედეგად ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ.

**მიიღეთ ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ და აქტიურად ჩაერთეთ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში!**

## მოითხოვეთ საჯარო ინფორმაცია!

ყველას აქვს უფლება, გაეცნოს საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ის არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია როგორც წერილობით, ისე ელექტრონული ფორმით.

### გარემოსდაცვითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საქართველოს გარემოსა და გუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

პასუხისმგებელი პირი:

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური  
მისამართი: 0114, ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6  
ტელ.: + 995 32 2727234;

ელ. ფოსტა: [foi@moe.gov.ge](mailto:foi@moe.gov.ge)

## იცით თუ არა:

საჯარო დანესებულება საჯარო ინფორმაციას გასცემს დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დანესებულება გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტავს მის უფლებებსა და გასაჩივრების წესს, იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ან საჯარო დანესებულების მითითებით, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას

## გამოიყენეთ ადვოკატირების მექანიზმები თქვენი უფლებების დასაცავად

- შეიმუშავეთ სტრატეგია თქვენი პრობლემების გადასაწყვეტად;
- გამიჯნეთ გადაწყვეტილების მიმღები პირები, მხარდამჭერები, მოკავშირეები, მონინა-აღმდეგეები;
- გამოიყენეთ კამპანიის პროცესში როგორც მხარდამჭერები, ისე მასობრივი საინფორმაციო საშუალებები;
- ითანამშრომლეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობის დაინტერესებულ ჯგუფებთან;
- დაამყარეთ კონტაქტი უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

